

საქართველოს მთავრობის დადგენილება №414

2014 წლის 23 ივნისი

ქ.თბილისი

დაცული ტერიტორიების საზღვრების დემარკაციის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „დაცული ტერიტორიების საზღვრების დემარკაციის განხორციელების წესი“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

დაცული ტერიტორიების საზღვრების დემარკაციის განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

დაცული ტერიტორიების საზღვრების დემარკაციის განხორციელების წესი (შემდგომში - წესი) შემუშავებულია „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს დაცული ტერიტორიის საზღვრების პერიმეტრის ზუსტი კოორდინატების დადგენის და დაზუსტებული საზღვრების რეგისტრაციის წესს.

მუხლი 2. დაცული ტერიტორიების საზღვრების დემარკაციის ეტაპები

დაცული ტერიტორიების საზღვრების დემარკაცია მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ა) მოსამზადებელ სამუშაოებს;
- ბ) სადელიმიტაციო სამუშაოებს;
- გ) საველე აზომვით სამუშაოებს;
- დ) კამერალურ სამუშაოებს;
- ე) საკადასტრო და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მომზადებას;
- ვ) საზღვრის მარკირებას;
- ზ) საზღვრის რეგისტრაციას.

მუხლი 3. მოსამზადებელი სამუშაოები

მოსამზადებელი სამუშაოები მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- ა) შესაბამისი კარტოგრაფიული მასალის (ტყითსარგებლობის გეგმები, ტოპოგრაფიული რუკები, რაიონული მიწათმოწყობის გეგმები, ორთოფოტოგეგმები და სხვა) დამუშავებას და ანალიზს;
- ბ) სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არსებული საკადასტრო მონაცემების დამუშავებას და ანალიზს;

გ) მიწის რეფორმის შედეგად გაცემული ნაკვეთების შესახებ ინფორმაციის დამუშავებას და ანალიზს;

დ) იჯარის ფორმით გაცემული ნაკვეთების შესახებ ინფორმაციის დამუშავებას და ანალიზს;

ე) დაცული ტერიტორიის მიმდებარედ არსებული დასახლებების (სოფელი, დაბა, ქალაქი) და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრას, მათ ხელთ არსებული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, მიღებაჩაბარების აქტი, მეზაღის წიგნაკი, საკომლო ჩანაწერი ან/და მიწის ფაქტობრივი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი) მოპოვების მიზნით.

მუხლი 4. სადელიმიტაციო სამუშაოები

სადელიმიტაციო სამუშაოები მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

ა) ამ წესის მე-3 მუხლში განსაზღვრული მასალების საფუძველზე, შუალედური რუკის მომზადებას, რომელზეც დატანილი იქნება დაცული ტერიტორიის სავარაუდო საზღვარი, ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ტერიტორიების ზედღებების აღნიშვნით;

ბ) ზედღებაში არსებული ნაკვეთების ნუსხის მომზადებას;

გ) ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რუკის საფუძველზე, საზღვრის მონაკვეთის გამიჯვნას, სადავო და არასადავო საზღვრის მონაკვეთებად, ასევე, იმ ტერიტორიის გამოყოფას, სადაც ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების ან/და სხვა ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია ადგილზე საველე აზომვითი სამუშაოების ჩატარება.

მუხლი 5. საველე აზომვითი სამუშაოები

1. საველე აზომვითი სამუშაოების დროს ხორციელდება, ამ წესის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული რუკის საფუძველზე, დაცული ტერიტორიის დელიმიტირებული საზღვრის ხაზის მოხვევის წერტილების, გეოდეზიური ხელსაწყოებით, უშუალოდ, ადგილზე აზომვა, მისი ზუსტი X და Y კოორდინატების დაფიქსირება და საკადასტრო აღწერა.

2. დაცული ტერიტორიის იმ მონაკვეთის დადგენა, სადაც საველე აზომვითი სამუშაოების ჩატარება ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების ან/და სხვა ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელია, უნდა განხორციელდეს დაცული ტერიტორიების მოქმედ მსხვილმასშტაბიან რუკებზე ან/და ტყითსარგებლობის გეგმებზე დაყრდნობით, კამერალურად, სტერეოგადაღებების მეთოდების გამოყენებით.

3. დაცული ტერიტორიების საზღვრის ის მონაკვეთი, რომელიც ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს, არ საჭიროებს დემარკაციას და საზღვრად განისაზღვრება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არსებული სარეგისტრაციო ზონის საზღვარი.

4. საველე აზომვითი სამუშაოები უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. საკადასტრო აღწერა უნდა ჩატარდეს სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემაში.

6. საკადასტრო აღწერისას გამოყენებული უნდა იქნეს მაღალი სიზუსტის საამზომველო ხელსაწყო (GPS). საკადასტრო აღწერის სიზუსტე უნდა იყოს დასახლებული პუნქტების მიმდებარედ 0.30 მეტრი, ხოლო დაუსახლებელ პუნქტებში - 2.5 მეტრი.
7. სასურველია, რომ დაცული ტერიტორიების საზღვრები მიუყვებოდეს, ძირითადად, გეოგრაფიულ (ბუნებრივ და ხელოვნურ) ობიექტებს, კერძოდ: ხევებს, წყალგამყოფ ქედებს, მდინარეებს, გზებს, ქარსაფრებს და სხვა.
8. საველე აზომვითი სამუშაოების განხორციელების დროს, დაცული ტერიტორიის საზღვრის პერიმეტრიდან უნდა გაიმიჯნოს:
 - ა) საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ინფრასტრუქტურა;
 - ბ) მოქმედი საკულტო ნაგებობები;
 - გ) სასაფლაოები;
 - დ) მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზების ანძებს მიკუთვნებული ფართობები;
 - ე) ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება;
 - ვ) ყველა ის ნაკვეთი, რომელიც, მოცემული დროისთვის, არ შეესაბამება დაცული ტერიტორიის სტატუსს: სახეცვლილია ან არ გააჩნია კონსერვაციული ღირებულება ან არ შეესაბამება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს (საკარმიდამო ნაკვეთები, ხეხილის ბაღები და სხვა).
9. დაცული ტერიტორიიდან ამორიცხულ უძრავ ქონებას, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მართავს და განკარგავს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

მუხლი 6. კამერალური სამუშაოები

1. სასაზღვრო წერტილების აზომვის და ადგილზე დამაგრების სამუშაოების დასრულების შემდეგ, ყოველი აზომილი და ადგილზე დამაგრებული წერტილისთვის უნდა შეიქმნას შემდეგი სახის მონაცემები:
 - ა) წერტილის ნომერი;
 - ბ) წერტილის მონიშვნის ტიპი;
 - გ) წერტილის აზომვის და ადგილზე დამაგრების ან შემოწმების თარიღი;
 - დ) იმ კომპანიის სახელწოდება, რომელმაც შეასრულა ამ წერტილის აზომვა და ადგილზე დამაგრება ან შემოწმება;
 - ე) წერტილის X, Y და Z მონაცემები;
 - ვ) სამუშაოების ამსახველი ფოტომასალა.
2. ამ წესის მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების შემდეგ, მომზადებული უნდა იქნეს დაცული ტერიტორიის 1:5000 მასშტაბის რუკა, მუნიციპალიტეტების მიხედვით, რომელზეც საზღვარი დატანილი იქნება ორთოფოტოზე.

3. გამოთვლილი უნდა იქნეს დაცული ტერიტორიის მთლიანი ფართობი და საზღვრის ხაზის პერიმეტრის სიგრძე.
4. უნდა მომზადდეს საზღვრის ხაზის მოხვევის წერტილების, ადგილის აბრისი (კროკი) და მათი სიტყვიერი აღწერილობა.
5. უნდა მომზადდეს ველზე განხორციელებული სამუშაოების შესახებ დეტალური ტექნიკური ანგარიში.
6. ამ მუხლით განსაზღვრული ყველა მასალა, წარდგენილი უნდა იქნეს ციფრული და გრაფიკული სახით, სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

მუხლი 7. საკადასტრო და სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მომზადება

ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დაცული ტერიტორიის რუკის საფუძველზე, უნდა მომზადდეს მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის ქაღალდის და ციფრული ვერსიები, რომლებიც უნდა შეიცავდეს ყველა იმ მონაცემს, რომელიც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. საზღვრის მარკირება

1. აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია, განხორციელდეს დაცული ტერიტორიის საზღვრის მარკირება (სასაზღვრო ნიშნულების დამაგრება).
2. საზღვრის ხაზის მოხვევის წერტილების ადგილზე დასამაგრებელი ბოძების ნიმუში (ნახაზი) წინასწარ უნდა იქნეს შემუშავებული და სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული, რათა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა დაცული ტერიტორიის საზღვრები ადგილზე დამაგრებული და გაფორმებული იყოს ერთიანი უნიფიცირებული ნიმუშის ბოძებით.
3. დაცული ტერიტორიის საზღვრის ხაზის სწორი და გრძელი გვერდები ადგილზე უნდა დამაგრდეს ყოველ 300 მეტრში.

მუხლი 9. საზღვრის რეგისტრაცია

დაცული ტერიტორიის ფართობების, დაზუსტებული საზღვრებით, რეგისტრაციას ახორციელებს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, რომელსაც ამ წესის მე-7 მუხლით განსაზღვრულ დოკუმენტაციას წარუდგენს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

23 June 2014

Tbilisi

Government of Georgia

Resolution #414

On Endorsing Rule for Implementation of Demarcation of Boundaries of Protected Areas

Article 1

The enclosed Rule for Implementation of Demarcation of Boundaries of Protected Areas to be endorsed pursuant to the Article 24.6 of the Law of Georgia on the System of Protected Territories.

Article 2

The present resolution to come into force upon publication.

Prime Minister

Irakli Gharibashvili

Rule for Implementation of Demarcation of Boundaries of Protected Areas

Article 1. General Provisions

The rule for implementation of demarcation of the boundaries of protected areas (hereinafter Rule) is developed in accordance with the Law of Georgia on the System of Protected Territories and determines the rule for identifying the accurate coordinates of the protected area boundary perimeter, as well as the rule for registering the established boundaries.

Article 2. Stages of Demarcation of Boundaries of Protected Territories

Demarcation of the boundaries of the protected areas consists of following stages:

- a. Preliminary work
- b. Delimitation
- c. Field measurements
- d. Office work
- e. Preparation of cadastre and registration documentation
- f. Boundary marking
- g. Boundary registration

Article 3. Preliminary Work

Preliminary work consists of following activities:

- a. Processing and analysis of the relevant cartographic materials (forest utilization plans, topographic maps, district land utilization plans, orthophotomaps, etc.);
- b. Processing and analysis of the cadastre data available at the National Agency of Public Registry;
- c. Processing and analysis of information on land plots distributed as a result of the land reform;
- d. Processing and analysis of information on land plots under lease;
- e. Meeting population and representatives of the local self-governing bodies of the settlements (villages, towns, cities) adjacent to the protected territories, as well as other interested parties in order to obtain available paperwork (transcript of the Public Registry, certificate of acceptance, gardener's passport, household record and/or factual land owner's certificate).

Article 4. Delimitation

Delimitation consists of following activities:

- a. Preparing an interim map based on the materials set forth in the Article 3 of the present Rule. The interim map should reflect feasible boundaries of the protected area with overlapping locations owned by individuals or legal entities highlighted;
- b. Preparing list of overlapping land plots;
- c. Marking off the boundary section into disputable and non-disputable boundary sections, as well as highlighting the area where field measurements are impossible due to the natural and geographic conditions and/or other objective reasons, referring to the map under Article 4.a of the present Rule.

Article 5. Field Measurements

10. Referring to the map under Article 4.c of the present Rule, following activities are carried out during the field measurements:
 - measuring the turn points of the delimited boundary of the protected area on-site with geodesic equipment;
 - documenting its accurate X and Y coordinates;
 - cadastre description.
11. The section of the protected area, where the field measurements are impossible due to the natural and geographical conditions and/or other objective reasons, should be determined in the office on the basis of the active large-scale maps of the protected areas and/or forest utilization plans, using stereophotography.
12. There is no need for demarcation of the protected area section running in with the state border of Georgia. The boundary is considered the registration zone boundary determined by the National Agency of Public Registry.
13. The field measurements should be carried out in compliance with the legislation in force.
14. Cadastre description should be carried out within the state geodesic coordinate system.
15. For cadastre description purposes the high-precision gauge (GPS) should be used. The accuracy of the cadastre description should be 0.30 m nearby the settlements, and 2.5 m in uninhabited areas.
16. Preferable that the boundaries of the protected areas basically lie along the geographic (natural and manmade) sites, namely, ravines, dividing ridges, rivers, roads, windbreaks, etc.
17. Following should be marked off from the protected area perimeter, when carrying out the field measurements:
 - a. Infrastructure of the Ministry of Defense and the Ministry of Internal Affairs of Georgia;
 - b. Acting religious sites;
 - c. Cemeteries;
 - d. Areas belonging to the high-voltage electric towers;
 - e. Property owned by the individuals and legal entities;

- f. All kinds of land plots currently irrelevant to the protected area status: altered or with no conservation value or do not meet the requirements of the Law of Georgia on System of Protected Territories (personal land plots, fruit gardens, etc.)
18. Pursuant to the Law of Georgia on State Property, the National Agency of State Property manages and disposes the real estate struck off the list of protected areas.

Article 6. Office Work

7. Once the boundary points are measured and fixed, following should be assigned to each measured and fixed point:
 - a. Point number
 - b. Type of point marking
 - c. Date of measuring and fixing or checking the point
 - d. Name of a company that measured and fixed or checked the point
 - e. X, Y and Z data of the point
 - f. Photo materials evidencing the above
8. Once the activities under the Articles 3, 4, 5 of the present Rule are completed, a protected area map at a scale 1:5000 should be drawn by each municipality. Boundaries on such map should be orthophoto-drawn.
9. Total protected area space and length of the boundary line perimeter should be calculated.
10. Boundary line turn points, location sketches and verbal description thereof should be prepared.
11. Detailed technical report on field activities should be prepared.
12. All kinds of materials under the present article should be submitted in digital and graphic forms to the Agency of Protected Areas.

Article 7. Preparation of Cadastre and Registration Documentation

On the basis of a protected area map under the Article 6.2 of the present Rule, paper and digital copies of a cadastre measuring sketch of a land plot should be prepared reflecting all data defined under the legislation in force.

Article 8. Boundary Marking

4. If necessary, marking (fixing the boundary marks) of the protected area boundaries can be carried out.
5. Samples of the pillars to be attached to the boundary line turn points should be pre-designed and approved by the chairperson of the Agency of Protected Areas in order to ensure uniformity of the pillars marking out the boundaries of the protected areas in Georgia.

6. Long and straight sides of the protected area boundaries should be marked in every 300 meters.

Article 9. Boundary Registration

The protected area space with established boundaries is registered by the National Agency of Public Registry on the basis of application from the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. The latter receives the necessary documentation under the Article 7 of the present Rule from the Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia.